

დანართი 1

სასწავლო უნივერსიტეტის “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“

სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესი

მუხლი 1. კრედიტების აღიარების პრინციპები

სასწავლო უნივერსიტეტის “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ (შემდგომში: უნივერსიტეტი) სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (შემდგომში: პირველადი უსდ) მობილობის ფარგლებში გადმოსული/აღდგენილი სტუდენტების (შემდგომში: სტუდენტი) კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

1. ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა;
2. სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და თავსებადობა;
3. საუნივერსიტეტო კურიკულუმთან შესაბამისობა და თავსებადობა (თავისუფალი კრედიტების შემთხვევაში);

მუხლი 2. კრედიტების აღიარების პროცედურა.

1. რექტორის ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტში ერთი წლის ვადით იქმნება კრედიტების აღიარების კომისია, რომელშიც შედიან: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი - შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი, ფაკულტეტის დეკანის მიერ შემოთავაზებული აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. კომისია მოწვევა ხდება საჭიროებისამებრ. კომისიის საქმიანობას წარმართავს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. მდივანს ევალება სხდომის ოქმის წარმოება. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით;
3. კომისიის დასკვნას ხელს აწერს: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი. კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს წარდგინებას კრედიტების აღიარების თაობაზე.

4. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალეზა დეკანატს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.
5. სტუდენტის მიერ წარმოდგენილი აკადემიური მოსწრების ფურცელი სრულად უნდა ასახავდეს სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობას და მასში სასწავლო კურსის დასახელება მითითებული უნდა იყოს სრულყოფილად და გარკვევით. დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს სასწავლო დაწესებულების შესაბამისი სამსახურის მიერ.
შენიშვნა: ნიშნების ფურცელში წარმოდგენილი უნდა იყოს ის კონკრეტული უცხო ენა, რომელიც გავლილი აქვს სტუდენტს (აუცილებელი, არჩევითი).
6. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია, სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები.
7. სტუდენტებს უღიარდებათ:
 - ა) **სავალდებულო სასწავლო კურსების** კრედიტები;
 - ბ) **არჩევითი სასწავლო კურსების** კრედიტები;
 - გ) **თავისუფალი კრედიტები** - თავისუფალ კრედიტებად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ ისეთი სასწავლო კურსი, რომლის ეკვივალენტიც არსებობს უნივერსიტეტის რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამაში.

მუხლი 3. კრედიტების აღიარების რეგულაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამა: საგანმანათლებლო პროგრამაში (კურსკულუმში) ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები, შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები. სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება მოხდება სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად;
2. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მოსთხოვოს მის მიერ ათვისებული სასწავლო კურსის სილაბუსები;
3. სტუდენტის მიერ ათვისებული, უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამასთან არათავსებადი უმაღლესი განათლების კრედიტებიდან შეიძლება აღიარებული იქნას იმდენი კრედიტი, რამდენი არჩევითი კრედიტიცაა გათვალისწინებული უნივერსიტეტში მოქმედ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.
4. დააკლდა საგანმანათლებლო პროგრამით სავალდებულო საგნებისათვის გათვალისწინებული კრედიტული მოცულობა, მისი შევსება შესაძლებელია არჩევითი / ან თავისუფალი საგნების ხარჯზე.
5. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას, სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად.

6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება იმ კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა;
7. თუ სტუდენტის მიერ პირველად უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტული მოცულობა ნაკლებია უნივერსიტეტის შესაბამისი საგნის კრედიტულ მოცულობაზე მათ შორის სხვაობა არ აღემატება 20%-ს, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს კომისია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე:
 - ა) პირველად უსდ-ში ათვისებული დისციპლინის სილაბუსის და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სილაბუსის ანალიზის (სასწავლო კურსის მიზნების და შედეგების შედარების) საფუძველზე, სრული თანხვედრის შემთხვევაში კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სტუდენტს უღიაროს კრედიტები იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში;
 - ბ) პირველად უსდ-ში ათვისებული დისციპლინის სილაბუსის და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სილაბუსის ანალიზის (სასწავლო კურსის მიზნების და შედეგების შედარების) საფუძველზე, მათი ნაწილობრივი თანხვედრის შემთხვევაში, რაც უნდა იყოს გაწერილი კომისიის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში, სტუდენტი ვალდებულია აითვისოს დარჩენილი კრედიტების რაოდენობა (კრედიტების სხვაობა), ან აითვისოს კურსი თავიდან უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო კურსის კრედიტული მოცულობით;
8. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა უნივერსიტეტის სასწავლო კურსების დასახელებას, კომისია უფლებამოსილია:
 - უღიაროს სტუდენტს ზოგადი ხასიათის საგანი (მაგალითად, „Communication skills in academic reporting” როგორც „Academic communication skills”);
 - სავალდებულო საგანის აღიარება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების კურსკულუმის სასწავლო კურსების თემატური, შინაარსობრივი შეთავსების/ ან წერილობითი გამოცდის შედეგის საფუძველზე;
9. თუ სტუდენტს ათვისებული აქვს მეორე უცხო ენა, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მეორე უცხო ენის კრედიტების აღიარება ე. წ. თავისუფალ კრედიტებად.
10. თუ სტუდენტს უნივერსიტეტის კურსკულუმთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს ე. წ. „ დიფერენცირებული ჩათვლა“ , მაშინ ხდება მისი აღიარება და შესაბამისი ქულის მითითება შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპების შესაბამისად.
შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

ფრიადი (5)	91 ქულა	A
კარგი (4)	84 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი (3)	69 ქულა	D

11. თუ სტუდენტის პირველადი უსდ -ში მოქმედია კრედიტების მინიჭების განსხვავებული სისტემა, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის შესაბამისობას ECTS სისტემასთან:

- სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ-ს მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (ოფიციალური დოკუმენტი), რომელშიც მითითებული იქნება: თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირის მანძილზე სწავლობდა სტუდენტი ამ სასწავლო კურსს და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას.);

- აღნიშნული კურსისათვის ხდება პირობითი კრედიტების მინიჭება შემდეგი

A +	ფრიადი	100
A	ფრიადი	95
A -	ფრიადი	91
B +	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	85
B -	ძალიან კარგი	81
C +	კარგი	80
C	კარგი	75
C -	კარგი	71
D +	საშუალო	70
D	საშუალო	65
D -	საშუალო	61
E +	დამაკმაყოფილებელი	60
E	დამაკმაყოფილებელი	55
E -	დამაკმაყოფილებელი	51

სისტემით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება

დამოუკიდებელი მუშაობის საათები (კომისიის მიერ დადგენილ კოეფიციენტზე - 1,5/2) სასწავლო პროგრამის სპეციფიკაციის გათვალისწინებით და მიღებული საათების რაოდენობა იყოფა 30-ზე ანუ 1 კრედიტის საათობრივ რაოდენობაზე. გადაანგარიშებული არამთელი კრედიტები უნდა დამრგვალდეს მთელ რიცხვამდე.

12. თუ სტუდენტის პირველადი უსდ იყენებს შეფასების არა 100 ქულიან სისტემას, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის შესაბამისობას შეფასების 100 ქულიან სისტემასთან.
13. იმ შემთხვევაში თუ უცხოურ უსდ-ში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ ლათინურ ასოებს (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვ.) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა უნივერსიტეტში მოქმედ სისტემაზე უნდა მოხდეს შემდეგი წესით:
14. აღდგენილი სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭება ხდება წინამდებარე წესის 3-მე მუხლის 2 პუნქტის თანახმად.
15. აღნიშნული სტუდენტის შეფასების 5 ბალიანი სისტემაზე გადაყვანა 100 ქულიან სისტემაზე ხდება აღნიშნული წესის 3-მე მუხლის 9 პუნქტის თანახმად.
16. სტუდენტის კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს კომისიას.
17. აღიარებული კრედიტების რეაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა განაგრძოს შესაბამის სემესტრიდან.

საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლის ხანგრძლივობაა 2 წელი:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0-44	I სემესტრი
0 – 74	II სემესტრი
45 კრედიტი და მეტი	III სემესტრი
75 კრედიტი და მეტი	IV სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლის ხანგრძლივობაა 3 წელი:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
--------------------	---------------------

0-29	I სემესტრი
0-64	II სემესტრი
30-104	III სემესტრი
65-139	IV სემესტრი
105 კრედიტი და მეტი	V სემესტრი
140 კრედიტი და მეტი	VI სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლის ხანგრძლივობაა 4 წელი:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0-14	I სემესტრი
0 - 49	II სემესტრი
15-89	III სემესტრი
50-124	IV სემესტრი
90-164	V სემესტრი
125-199	VI სემესტრი
165 კრედიტი და მეტი	VII სემესტრი
200 კრედიტი და მეტი	VIII სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლის ხანგრძლივობაა 5 წელი:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
--------------------	---------------------

0-9	I სემესტრი
0 – 34	II სემესტრი
10 – 74	III სემესტრი
35-109	IV სემესტრი
75 – 149	V სემესტრი
110 – 184	VI სემესტრი
150 – 224	VII სემესტრი
185 – 259	VIII სემესტრი
225 კრედიტი და მეტი	IX სემესტრი
260 კრედიტი და მეტი	X სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლის ხანგრძლივობაა 6 წელი:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0-9	I სემესტრი
0-19	II სემესტრი
10- 74	III სემესტრი
20 - 94	IV სემესტრი
75-149	V სემესტრი
95-169	VI სემესტრი

150 – 224	VII სემესტრი
170 – 244	VIII სემესტრი
225 - 284	IX სემესტრი
245 – 319	X სემესტრი
285 კრედიტი და მეტი	XI სემესტრი
320 კრედიტი და მეტი	XII სემესტრი

18. ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შესაძლებელია, სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა.
19. აღიარებული კრედიტების მიხედვით სემესტრის განსაზღვრის წინამდებარე შკალა შეესაბამება სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვების მოქმედ ნორმატულ აქტებს და შეიცვლება მათში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში.